წელიწადი მეცხრე.—№ 444

პარასკევი, 11 ოქტომბერი, 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში

ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: საზოგადო მიმართულება,—ერთი განკარგულება,—წვრილი ამბები.—„დროების“ კორრესპონდენცია: იმერეთიდამ,—სოფლის მასწავლებელთა კრება ხონში.—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები.—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: გერმანია,—საფრანგეთი,—ინგლისი.—ინგლისელი კავკასიაში.—რამდენიმე სიტყვა ნიკოლოზ ბერძენოვზე.—ნ ა რ ე ვ ი.—განცხადებანი.

**ვისაც წრევანდელი, ან შარშანდელი გაზეთის ფასი აქამდის არ შემოუტანია, ვთხოვთ გამოგზავნონ რედაქციის კანტორაში.**

# საქართველო

## საზოგადო მიმართულება

არც შორს-გამჭვრეტი გონება და მაინცა და მაინც არც დამკვირვებელი თვალია საჭირო იმისთვის, რომ კაცმა ამ უკანასკნელ დროს ჩვენში ერთი ახალი და საზოგადო მიმართულება და ლტოლვილება შეამჩნიოს. ეს საზოგადო მიმართულება, ლტოლვილება ორის სიტყვით გამოითქმის: საქმის ძებნა, ანუ კიდევ უკეთა ესთქვათ, ფ უ ლ ე ბ ი ს ძ ე ბ ნ ა

სანამ ჩვენში ბატონ-ყმობა არსობდა, ყველას გლეხებისა, მუქთი შრომისა და უზრუნველად ცხოვრების იმედი ჰქონდა. მებატონე ამაყათ ამბობდა:—საქმე რად მინდა, ფული რად მინდა?—ჩემი გლეხების შრომა ჩემი ფულიაო!

ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ, ჩვენი გარემოება შეიცვალა: უწინდელ მებატონეს წაერთვა მუქთი შრომა და მასთან უზრუნველ შემოსავლისა და უზრუნველად ცხოვრების სახსარი. განსაკუთრებით წვრილ მებატონეებმა კარგათ იგრძნეს, თავის საკუთარს კანზე, რომ სამუდამოთ წავიდა ის დრო, როდესაც ისინი „საქმეს“ ნადირობასა და წვეულობას ეძახოდნენ და „ფულები“ მხოლოდ გარდამეტებული, ფანტაზიური საჭიროების დასაკმაყოფილებლად ეჭირებოდათ. ყველამ იგრძნო, რომ, თუ სრულებით არ წასულა—მიდის ის დრო, როდესაც უდარდელად, უსაქმოთ, სხვის იმედით შეიძლებოდა ცხოვრება.

უწინდელი მებატონე ეხლა აღარ ეუბნება თავის თავს:—ფული რად მინდა, საქმე რად მინდაო? უწინდელი გლეხების შრომის მოიმედე მამა აღარ ეუბნება თავის შვილს:—სწავლა რად გინდა, შრომა რად გინდაო?

დროება გამოიცვალა.

ყველამ ფულის ძებნას, საქმის ძებნას მიჰყო ხელი.

შეიქნა ფაცა-ფუცი, მოძრაობა. ყველა პროექტებზე ლაპარაკობდა, ყველას ისეთი განზრახვა და პლანი ჰქონდა, რომ რამდენისამე წლის განმავლობაში ნიჩბებით მოელოდა ას-ას მანეთიან ქაღალდებისა და ოქროების მობოჭვას.

ერთმა ღვინის სარდაფები გახსნა ქალაქში,—მეორემ ფურის ძუძუებიდამ მოინდომა ოქროების გამოდენა,—მესამემ კაკლის ყუნძს მიმართა,—მეოთხემ დედა-მიწაში ჩახედა და მადნებისაგან განიზრახა თავის-თავის გამდიდრება,—და ყველამ ბანკისაკენ მიაქცია შემბრალებელი თვალი.

ერთი სიტყვით, შეიქნა საზოგადო ძებნა საქმისა და ფულებისა. და რადგან უსწავლელი და შრომას შეუჩვეველი თავად-აზნაურობა ასე მალე სწორ გზასა და გულ-მოდგინე შრომას ვერ დაადგა, ამის გამო გასაკვირველი არ არის, თუ ის ხშირად მრუდე გზებისაკენ უხვევს და ისეთ საქმეს უფრო დაეწაფა, რომელიც შრომას კი ცოტას თხოულობს და შემოსავლის, ფულების იმედს კი უხვად, უანგარიშოთ აძლევს.

ეს გაცხადებული ფაცა-ფუცი, მოძრაობა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისა, ეს ძებნა ადვილად შესასრულებელი ... ფულების მომცემი საქმისა და შრომისა ჯერაც არ დაწყნარებულა; ეხლაც არიან ისეთნი პირნი, რომელთაც იმედი აქვთ, რომელნიც ცდილობენ აყალო მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხვა და სხვა უსახელო კამპანიებს ადგენენ და სხვ. და სხვ. და ჩვენ სრულიადაც არა გვსურს, რომ ამგვარი მიმართულება, ეს ლტოლვილება ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშათ მოისპოს. ჩვენი აზრით, ამგვარ ფაცა-ფუცს, ამნაირ უსწორ-მასწორო და ბნელ გზაზე ხეტიალს იმ კეთილი ნაყოფის მოტანა შეუძლია, რომ ბოლოს და ბოლოს სწორ გზაზე დავადგებით; თვით გარემოება გამოგვაფხიზლებს და გვიჩვენებს, რომ შეუსრულებელი პროექტების დევნა ხელს არ მოგვცემს, რომ უეცრად, მანქანების ძალით გამდიდრების მაგიერ, ჩვენ ბეჯით სწავლას, გულმოდგინე შრომას და ასასრულებელ საქმეებს უნდა შევუდგეთ.

სიარულის მოსწავლე ყრმაწვილი, სანამ სწორ და მარჯვე სიარულს დაისწავლიდეს, რამდენჯერმე ქვაზე წაიმტვრევს ფეხსა ეს ფეხის წამტვრევა, თუ არ მოუხდება, არ ავნებს. პირველადვე სწორად არავის არ გაუვლია.

ს. მესხი.

### ერთი განკარგულება

ერთი თვალი გადაავლეთ იმერეთიდამ მოსულ კორრესპონდენციას, რომელიც ამ ნომერშივეა დაბეჭდილი. ღირსია, რომ ამ საგანს ყურადღება მიაქციოთ.

საქმე აი რაში მდგომარეობს:

იმერეთის მღვდელთ-მთავრისაგან იქაურ სამღვდელოებას ბრძანება მოსვლია, რომ, თუ სასიძომ და სასძლომ აღნიშნული ლოცვები არ იციან, ისე ჯვარს ნუ დასწერთ, ნუ დააქორწინებთო.

ლოცვების არ მცოდნე ხალხს (გლეხობას) ოსტატობით მოუნდომებია ამ ბრძანებისაგან თავის დახწევა: შვიდი მანეთიდამ თუმნამდი აძლევდა თურმე მღვდელს, დაქორწინების დროს, იმ პირობით, რომ, თუ ამა და ამ დრომდი ლოცვები ვერ დავისწავლე, ეს ფულები ეკკლესიისათვის შემიწირავსო. რასაკვირველია, რომ გლეხი ვერ სწავლობდა და იმის ფული, როგორც კორრესპონდენტი ამტკიცებს, ხან და ხან მღვდლის ჯიბეში რჩებოდა.

ასე ყოფილა დღემდის. ეხლა კი მღვდელთ-მთავარს შეუტყვია ეს ამბავი და ფიცხელი მიწერილობა გამოუგზავნია, რომ „საწინდარი“ არავის გამოართვათო, ვინც იცის ლოცვები—დააქორწინეთ, ვინც არა—ნუო.

აი, საქმის გარემოება.

ჩვენი აზრი ამ განკარგულების თაობაზე შემდეგია:

ყოველმა ქრისტიანმა უნდა იცოდეს, არათუ მარტო ზოგიერთი ლოცვები, არამედ ყველა ქრისტიანობის სარწმუნოების წესი.

მაგრამ, მეორე მხრით, ძალდატანება თუ სადმე მავნებელია, არსად არ არის ისეთ ნაირად მავნებელი, როგორც სარწმუნოების საქმეში. ქრისტიანს სასოება უნდა ჰქონდეს; ძალდატანებით მას წმინდა გრძნობას ვერ ჩაუნერგავთ გულში.

ვერავინ ვერ იტყვის, რომ ჩვენი უბრალო გლეხი სარწმუნოების სასოებას მოკლებული იყოს. და თუნდაც იმან ლოცვები არ იცოდეს, დარწმუნებული იყავით, ის ბევრ მხურვალეთ მლოცველ და ქამნ-დავითნის ზეპირად მცოდნეზე უფრო ქრისტიანია, უფრო მსასოებელია და უფრო მადლიანი.

რატომ არ იცის, მაშ, იმან ლოცვებიო, მკითხავთ? განა ეს ძნელი გასაგებია? განა თქვენთვისაც ცხადი არ არის, რომ ეს უცოდინარობა უნდომელობისაგან არ წარმოსდგება, არამედ იმისაგან, რომ იმას ვერ უსწავლია? და ვერ უსწავლია იმიტომ, რომ არ ასწავლიდნენ, გარემოება ამის ღონისძიებას არ აძლევდა.

უქმროდ დაგდება გასათხოვარი ქალისა და უცოლოთ საცოლო კაცისა—ისეთი მომაკვდინებელი დასჯაა, რომელიც ქრისტიანობის ქოვლის-შემწყნარებელ სარწმუნოებას სრულიად არ შეეფერება.

ეს დანაშაულობაა საზოგადოების წინაშე.

წაიკითხეთ ხსენებული კორრესპონდენცია და ნახავთ, თუ რა შედეგი, რა ბოლო მოსდევს ამ განკარგულებას.

ასწონეთ: ამ გვარი ძალდატანებითი ლოცვების სწავლა სასოებას მოგვრის და ლოცვას შეაყვარებს გლეხსა, თუ სულ წინააღმდეგ ნაყოფს გამოიცემს?

ამერიკელები თავიანთ მუშებს თითქმის ძალათ ატენიან თურმე საჭმელს პირში იმ განზრახვით, რომ ვინც კარგათ სჭამს, იმას კარგი მუშაობაც შეუძლია, იმას ბევრი საქმე და მუშაობაც მოეთხოვებაო.

მიჰბაძეთ ამ გონიერულ მაგალითს: ჯ ე რ ა ს წ ა ვ ლ ე თ, მ ე რ ე მ ო ს თ ხ ო ვ ე თ! რაც არ მიგიციათ, რასა სთხოვთ?

ს. მ.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტყიბულის ქვა ნახშირისმადნის საქმე თითქმის გათავებულა პარიჟში. უფ. ნიკოლაძე და ნოვოსელსკი, რომლების უთანხმოება ამდენი ხანია ასე აბრკოლებდა ამ საქმის წარმატებას, ეხლა შერიგებულან. ბეჯითად ამბობენ, რომ უფ. ნიკოლაძისაგან შემდგარ კამპანიას 200,000 მანეთად ყიდვა გარდაუწყვეტია ყველა იმ მამულებისა ტყიბულში, რომელიც უფ. ნოვოსელსკის ეკუთვნოდა, და ამ ნაირად მთელი მამულის მეპატრონედ ერთი კამპანია შეიქნება.

საქმის გასათევებლად კამპანია ეხლა მხოლოთ უფ. ნიკოლაძისაგან ნასყიდობის წერილის წარდგენას მოელის.

*
* *

ამბობენ, რომ ამ დღეებში ორს სისხლითა და სამსახურით მონათესავე მარსის თაყვანის მცემელს მესამე სამხედროვე წოდების პირის მეუღლე გაუქანებიათ სადღაც და რამდენიმე დღეა არ მოჰყავთო.....

*
* *

ფოთიდამ გვწერენ, რომ ერთ აქაურ უეზდის სასწავლებლის ოსტატს, ნადირობის დროს, გაუფრთხილებლობის გამო, უეცრად დაუკრავს ფეხი თოფის ჩახმახზე, თოფი გავარდნილა და საფანტები სხეულში გაბნევია. ეს საცოდავი ყმაწვილი მეორე დღეს მიცვალებულა.

*
* *

წინანდელ „დროების“ ნომერში დაბეჭდილია კორრესპონდენცია, რომლიდამაც სჩანს, რომ ქიზიყში სოფლის სასამართლოები რიგიანათ ვერ მიდის, რომ განსაკუთრებით მამასახლისები თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებენ.

ამ გვარივე ამბები მოგვდის ჩვენ იმერეთის სხვა და სხვა სოფლებიდამაც. იქაც უჩივის იმათ ხალხი ქრთამისა და ხშირად მიდგომითი საქმის გადაწყვეტისათვის.

ჩვენ შეგვიტყვია, რომ, თუმცა ხშირად უღირსი მამასახლისებისა და მოსამართლეებს ამორჩევაში თვითონ სოფლელებია დამნაშივე, რადგან ისინი არჩევენ, მაგრამ ხანდისხან ამ მოხელეების ამორჩევას სოფლებს არ ჰკითხავენო, ვინც უფროსებს მოეწონება, ხშირათ იმათ ნიშნავენო.....

*
* *

ქიზიყიდამ ამბავი მოსულია „სასოფლო გაზეთს“, რომ უკანასკნელ ხანებში იქ ისეთი ამინდები დაიჭირაო, რომ ყანები და ნამუშევარი გამოკეთდა და ხალხი ამ ზამთარ შიმშილს აღარ მოელისო.

ამ გაზეთშივე სწერენ, რომ იმერეთში წელს აბრეშუმის ჭიის ავათმყოფობა სრულიად არ ყოფილაო. მაგრამ კახეთში კი აბრეშუმი ცოტა მოსულა.

*
* *

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია უფ. ბერსევანოვის სტატია, ვლადიკავკაზიდამ თფილისამდი რკინის გზის გაყვანის თაობაზე, რომელშიაც საინტერესო ცნობებია მოყვანილი. მოგვყავს აქ ზოგიერთი ამ ცნობათაგანი:

„იმ გამოკვლევით, რომელიც მართებლობის ინჟინრებს დარიალის ხეობაში მოუხდენიათ 1873 და 1874 წ., აღმოჩნდა, რომ ყველაზე უკეთესი იქნება, რომ რკინის გზის გაყვანა აჭალის სტანციიდამ დაიწყოს. შემდეგ გზა მდ. არაგვზე და ახლანდელ კავკასიის

შოსსის მახლობლად უნდა გაიდეს. ამ ნაირად მიდის ფასანაურამდი. აქედამ ბუდამყაროს ხეობაში უხვევს და წნოს მდინარესთან ისევ დიდ კავკასიის შოსსესთან გამოდის უაზიბეგის ფოჩტის სტანციასთან. აქედამ სულ თერგის ნაპირებზე გაივლის, ლარსისა და ბალტის სტანციებს გაივლის და ვლადიკავკასამდი მიდის.

„ბუსლაჩირის ქედთან უნდა გაიჭრას დიდი ტონელი, რომელიც გამოანგარიშებით ხუთი ვერსი და ოთხმოცი საჟენი სიგრძე იქნება. მონსენისის ტონნელი, რომელიც საფრანგეთისა და იტალიის რკინის გზებს აერთებს და რომელიც 1871 წელს გასჭრეს, თერთმეტი ვერსი და ნახევარია; ასე რომ კავკასიის ტონნელი ამის ნახევარი იქნება და ამ სახით სიგრძე ვერ დააბრკოლებს. ეხლა ევროპაში მონსენისის ტონნელზე უფრო გრძელი ტონნელის გაყვანას აპირებენ: სან-გოტარის ტონნელი (ალპების მთებში) 14 ვერსამდი იქნება. ამ ტონნელმა გერმანიისა, შვეიცარიისა და იტალიის რკინის გზები უნდა შეაერთოს.“

* * *

უფ. მთავარ სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი მთხოვნელებსა და სამსახურის პირებს მიიღებს თავის კანცელარიაში იმავე დღესა და საათს, რომელიც აქამდისინ იყო დანიშნული, ე. ი. სამშაბათობითა და შაბათობათ, თერთმეტ საათზე და ნახევარზე.

* * *

თფილისის საზოგადო ბიბლიოთეკა გაიხსნება ამ თვის თერთმეტიდამ და იქნება საზოგადოებისათვის გახსნილი ყოველ დღე შუა-დღიდამ სალამოს ხუთ საათამდი.

* * *

ერთი ახალი ამბავი, რომელიც თუმცა ჩვენს ქვეყანას შეეხება, მაგრამ პეტერბურღის გაზეთიდამ კი ვტყობულობთ.

ამას წინათ „პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილი იყო, როგორც ხმა, ვითომც ფოთის პორტის მუშაობა დიდი ხანია წინ არ წაწეულაო. ეხლა ამავე გაზეთს პორტის ამშენებელი ინჟენერ შარინცევისაგან მოსვლია ტელეგრამმა, რომ ეს ხმა ტყუილი არისო. ფოთის პორტის ასაშენებლად მუშაობა ეხლაც არისო, ჩემგან დაყენებული კაცი, ბახმეტევი მუშაობსო და მასალები იმდენია დამზადებული, რომ ერთი წლის მუშაობას ეყოფაო.

* * *

ქუთაისის კარანტინო-დამოჟნის ცნობებიდამ სჩანს, რომ 1874 წლის ივლისის თვის განმავალობაში 144,198 მანეთის საქონელი შემოსულა სამზღვარ გარედამ; 105 ქარავანი მოსულა და 103 სავაჭრო ხომალდი. ამ დროსვე განმავლობაში, ამავე დამოჟნის ცნობით, გაუტანიათ სამზღვარ გარეთ 207,664 მანეთის საქონელი, 31 ქარავანი გასულა და 113 სავაჭრო ხომალდი.

თფილისის დამოჟნაში ივლისის განმავალობაში შემოუტანიათ 227,732 მანეთის საქონელი, აგვისტოს განმავლობაში—202,446 მანეთისა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

იმერეთიდამ, 1 ოქტომბერს 1874 წ.

წელიწად ნახევარია, რაც იმერეთში მღვდლებს ჰქონდათ ცირკულიარის ძალით გამოცხადებული ბლაღოჩინებისაგან და უკანასკნელებს მღვდელ-მთავრისაგან, რომ ჯვარის წერას არ გაბედდეთ, უკეთუ დანიშნული ლოცვები, რომელიც ცირკულიარში იყო მოხსენებული, არ იცოდნენო. ეს გარემოება მიიღეს მღვდლებმა სახეში და მართლა. თუ სასიძოს და სასძლოს დანიშნული ლოცვები არ ეცოდინებოდა, ისე ჯვარს არ სწერდნენ.

ამ გარემოებამ ხალხს აფიქრებინა პირობის დადება მღვდელთანდა ფულით „საწინდარის“ შეტანა: უკეთუ დანიშნული ლოცვები არ მეცოდინოს ამა და ამ დროსთვის, იმ შემთხვევაში ეს ჩემი საწინდარი 7. ან 10 მ. იქმნეს ამა და ამ ეკკლესიის სასარგებლოთ შერაცხულიო. მაგრამ ეს ფულები ე. ი. საწინდრები აიღეს ზოგიერთმა მღვდლებმა, ეკკლესიის ან რაიმე კეთილი საქმის სასარგებლოთ კი არა, არამედ გარდაიქციეს თავიანთ ჯიბეების სასარგებლოთ.

ჩვენში დაფარული არა არის რა: ამ გარემოებამ მალე მღვდელ-მთავრის ყურამდინ მიაწია და, რასაკვირველია, ამის მოსასპობათ ხელ მეორეთ ინება მღვდელ-მთავარმა ცირკულიარით მოწერილობა ბლაღოჩინებზედ, რომ არავინ გაბედოთ საწინდრის აღება, რადგანაც მას ზოგიერთნი ხმარობთ არა კეთილი საქმისთვის, არამედ თქვენ ჯიბეებში იდებთ და საწყალ-ხალხს კი ატყავებთო; თუ იცოდეს ლოცვა სასიძომ და სასძლომ, ჯვარი დასწერეთ და თუ არა, და არაო...

თითქმის თვე ნახევარია, რაც ეს ამბავი გამოცხადდა და ისრე შეაფიქრა ხელ-მეორეთ საზოგადოების გული, რომ ბევრს სასოება დაეკარგათ ყველაფრის; იმის შიშით იმათ ჯვარის წერა სრულიად აღარ ახსოვთ.

ამ ჟამად ხალხს მის მეტი სალაპარაკო აღარა აქვს რა. ერთი ამბობს:

— რავა იქნება ეს! 33-ს წლის ვარ, ქალის თხოვა მინდა, ქვე რავა შემიძლია მაგდენი ლოცვების სწავლა? საიდგან ვისწავლო: ოჯახს მოუარო მარტო-ხელმა *) კაცმა, თუ ლოცვები ვისწავლო, თუ გვირგვინის სასკვნელი ფულები ვიშოვო! ერთსაც ვიტყვი: ღმერთმანი, თუ მაგდენი ლოცვები ვისწავლე და ღმერთი შემეწია, ჩვენ მღვდელს ქვე გამოუძახებ, საყდრიდგან და მღვდელობასაც მე ვიზამ.

მეორე ამბობს:

— არა, ძმაო! მე ლოცვების დასწავლის თავი არა მაქვს და თუ ღმერთმა ჰქნა და წამომყვა ის ბოვში (ქალზედ ამბობს) ქე მევიყვან სახლში უგვირგვინო-და ლოცვაც იმას და მადლიც ვინც დამიშალოსო.

მესამე ამბობს: „თუ კაცი ვარ, თუ ასთე იქნა, ბარე ორიოდე დარჩება გაუთხოვარი ქალი უქმროდ და არჩინონ მერმე ბოვშები!

ამას რომ კაცები ლაპარაკობენ, ქალები უარესათ არიან გაცხარებული და ამბობენ: ასეთიმც უქნიათ, შენი ჭირიმე, რომ სულაც ნურავინ გათხოვილაო. სიკვდილის გულისათვისაც არ შეგვიძლია ეგ ლოცვები ვისწავლოთ ჩვენაო; აგერ ქალები დავბერდით და ეხლა უნდა ვისწავლოთ? თუ გინდ სულ არ გვეღირსოს გათხოვება, მის დღეში, მაინც არ შაგვიძლიაო?!..

ამისთანა ლაპარაკები ბევრია, მაგრამ მე აქ ყველას ვერ ჩამოვთვლი....

თუ მზითევი არა აქვს ქალს იმერეთში, რაც უნდა ღარიბი ოჯახის ქალი იყვეს, ძნელად შეიძლება, რომ ითხოვოს ვინმემ და თუ მზითივი იშოვეს, ეს ლოცვები აბრკოლებს. ამ დღეებში შორაპნის მაზრაში ერთს გაუთხოვარს ქალს თავი ჩამოუღრჩვია. მიზეზი ის ჰყოფილა, რომ მზითევი ველარ უშოვია მის პატრონს კარგი ჩინოვნიკისთვის მიეცა და გლახას ის ქალი არ გაჰყვა და უმზითოთაც არავინ ითხოვდა ხეირიანი კაცი. ამნაირი მდგომარეობის წყალობით ქალი შესცდა.. და როდესაც გამოაჩნდა, იფიქრა შევრცხვიო და თავი ჩამოიხრჩო საწყალმა... ამისთანა შემთხვევა რამდენიმეა მაგრამ ყველას აქ ჩამოთვლა არ არის საჭირო. თუ მართლა არ შაიცვალა როგორ მე ის ცირკულიარი და ძველებურათ ქალსა და კაცსა მოეთხოვა ლოცვების ცოდნა, გარწმუნებთ, რომ სხვა ნაირათ წავა საქმე და ჯვარ-დაუწერლათაც ბევრი წაიყვანს ქალს. და ქალიც თანახმა გახდება და უფრო ცუდი საქმეები მოხდება.

ამ შემთხვევამ უფრო მოუტანა ზარალი უიმისოთაც გალატაკებულ და გასაწყლებული იმერეთის სამღვდელოებას, მით რომ ისრე გავა ზოგნი წელიწადი, მღვდელი ერთი ჯვარის წერას ვერ ეღირსოს. ერთ მღვდელს შევხვდი ამას წინათ და სხვათა შორის ჩამოვაგდეთ ლაპარაკი ჯვარის წერის თაობაზედ; მითხრა: მამა-შვილობამ, ფეხებზედ წაღები არ მაცვია და ჩემი პერანგი ორ თვეში ერთხელ არ გაირეცხება საპონითო. ცოტა-ოდენი ამ ჯვარის-წერიდგან შამოგვდიოდა და ისიც მოგვისპესო.“ იმისი ტანისამოსი ამტკიცებდა ამ სიტყვების სიმართლეს....

სოფ. ალისუბანი.

ს. პ.

## სოფლის მასწავლებელთა კრება
## დ. ხონში

სოფლის მასწავლებლების კრება ხონში, წასრულის წლის მაგალითისა მებრ, წელსაც 16 ენკენისთვეს დაიწყო; კრებისთვის იყო დანიშნული ერთი დიდი ზალა ხონის სასწავლებელის სახლში, სადაც ყოველს დღეს დილის რვა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის ორს საათამდე იკრიბებოდნენ მასწავლებლები.

პირველს დღეს თვითონ უ. ინსპექტორმა გარდასცა შაგირდებს გაკვეთილი, შემდგომ ის აძლევდა წინდღით სალამოთი მასწავლებლებს წინადადებას გაკვეთილის აღებისას; მოსამზადებელს გაკვეთილს კიდევ აუხსნიდა და ისინი იმ ღამეს ამზადებდნენ და მეორე დღეს ასწავლიდნენ იმ ზალაშივე მსხდომს ხონის სასწავლებელის შაგირდებს; სწავლა შაგირდებისა გრძელდებოდა თითო გაკვეთილისა თვითო საათს. შემდგომ შაგირდებს დაითხოვდნენ შკოლიდგან და სხვა მასწავლებელისაგან იყო იმ საათშივე მასწავლებელის გარდაცემაზედ კრიტიკული განხილვა; სხვა საათებშიდაც ამ გვარად იყო. ესრე ამ წესით იყო მათი სწავლა თვრამეტს რიცხვამდე; ამ დღეს ისევ უ. ინსპექტორმა ასწავლა შაგირდებს; შემდგომ დღეებში, ოც და სამს რიცხვამდე, მასწავლებლები ისევ ნათქვამის წესით ასწავლიდნენ; ამ დღიდგამ ოცდა ხუთს რიცხვამდე წილის-ყრით იყოსწავლება: რომელ მასწავლებელსაც შეხვდებოდა მეორე დღეს სწავლება, იმას უნდა ესწავლებია შაგირდებისათვის. ოც და ექვს ამ თვესვე უ. ინსპექტორმა მისცა მასწავლებლებს ჩვეულებრივი დარიგება და კიდეც დაითხოვა ისინი ხონიდგან, რომ თავიანთ შკოლებში გაეგრძელებიათ მათი შრომა.

ისინი იყვნენ ორმოცდა თვრამეტი მთელის ღუბერნიიდგან; მათგანი ორმოცამდე იყვნენ ისეთნი, რომელთაც ეხლა აქვს შკოლები და დანარჩენი იყვნენ მასწავლებლების ადგილის მძიებელნი.

რადგანაც კრებაში კრიტიკული განხილვა იყო თითოეულს ოსტატის გაკვეთილისა, ამისათვის გაკვეთილის აღებას ბევრი ერიდებოდა, ამიტომ რომ რაც უნდა ცოტა შეცდომა მოხდომოდა გარდამცემს, თუნდ უნებურიც, შეუნიშნავს არ გაუშვებდნენ სხვა მასწავლებლები; გაუბედავს და გამოუცდელს მასწავლებლებს კარგათაც რომ მოემზადნა გაკვეთილი, ისე მარჯვეთ მაინც ვერ ახერხებდა გარდაცემას, როგორც რიგი იყო.

მაგრამ მაინც მათი სიმარჯვე, მათი მუყაითობა და შრომა ცხადათ ამტკიცებს, რომ უსათუოთ სასარგებლო იქნებიან სოფლისათვის, მაგ. ხონის შკოლის ზედამხედველის თანაშემწე და დაბა ჯუმათის შკოლის მასწავლებელი და ზოგიერთები; ამ უკანასკნელს, როგორც ნამდვილათ შევიტყვეთ, ს. ჯუმათში აუშენებინებია საზოგადოებისათვის ახალი შკოლის სახლი, რომელიც წინეთ ისეთი უმგვანო ყოფილა, რომ ინსპექტორს, რევიზიის დროს, დაკეტა მოუნდომებია.

შკოლების მასწავლებლები იმერეთში უმეტესი ნაწილი არიან სასულიერო უეზდის სასწავლებელში კურს შესრულებულნი, ზოგიც ისეთნი, რომელთაც სწავლა არსად არ შეუსრულებიათ, სემინარიელი ან გიმნაზიელი, რომელთაც კურსი გაეთევებიოსთ, ძლიერ ცოტანი არიან; ამისათვის ერთს მეორესაგან მაგდენათ არა შეუძნიათ რა; მასწავლებლების წარმატება ახალი მეტოდით გარდაცემაზედ უმეტეს საფუძვლიანათ მიიღეს უ. ინსპექტორისაგან, რომელიც, როგორც ზევით მოვიხსენეთ ორს დღეს თვითონ ასწავლიდა და დანარჩენ დროსაც, როცა კი ექნებოდა კრიტიკის დროს შემთხვევა, ყოველთვის უხსნიდა მათ.

საჭიროა ვსთქვა—რა მატერიალურ მდგომარეობაში იყვნენ მასწავლებლები ხონში: თუმც უ. ინსპექტორს, როგორც გავიგე, წინათვე მოუხდენია განკარგულება, რომ ხარჯათ მიეცათ მათვის ხვედრის ჯამაგირიდგან, ეგრეთვე სადგომი სახლი ჰქონოდათ ხონში, მაგრამ ეს უკანასკნელი განკარგულება სრულად არ შესრულებულა: ხეირიანი ბინა მეოთხედსაც არ ჰქონებია, დანარჩენი სულ დუქნებში იდგნენ უცეცხურ ცივ ქოხებში, და ამ გვარად ითმენდნენ გაჭირვებას; მიკიტნებმაც იშოვეს ამ გვარი მათი მდგომარეობით შემთხვევა, ისრე გააძვირეს სასმელ-საჭმელი, რომ ჩვენს მასწავლებლებს ძვირათ დაუჯდათ აქ ყოფნა; ზოგი მათგანი ავათაც გახდა ცუდის საჭმელისა და ცივის სახლის გამო, ერთს მასწავლებელს, რომელიც იჯდა სტოლთან და ყურს უგდებდა მასწავლებელის გარდაცემაზედ, მოუვიდა უეცრად ბნედა, წაიქცა და თითქმის ნახევარ საათს უგრძნობელად იდვა.

29 სექტემბერს.

ა. შარაშიძე.

## რუსეთი

25 ოქტომბერს ყოფილა პეტერბურღში სხდომა ხალხში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.“ ამ საზოგადოების წარსული წლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ მარტო წარსული წლის განმავალობაში საზოგადოებას 14,202 სხვა და სხვა წიგნი დაურიგებია მუქთად სახალხო შკოლებში. ამ ანგარიშიდამვე აღმოჩნდა, რომ იაკუტსკის გუბერნიის ყველა სახალხო შკოლებში საზოგადოებას მუქთად დაურიგებია წიგნები შაგირდებისა და მასწავლებლებისათვის

*) ერთი მამა კაცი რომ იქმნება ერთ ოჯახში იმას ეძახიან.

სხვაა ლ-გებიდამ ხშირად გვთხოვენ წიგნებსო, მაგრამ, საუბედუროთ, იმდენი შეძლება არა გვაქვს, რომ ყველა მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთო.

* * *

პეტერბურღში შემდგარა ქალების საზოგადოება, რომელსაც აქვს მიზნათ ადვოკატობის ასპარეზზედ გამოსვლა. ამ განზრახვით, საზოგადოებას მოუწოდებია, შესანიშნავი რუსის იურისტები, რომელნიც დაეხმარებიან საზოგადოების წევრთა მსაჯულთ წყობილების და საქმის წარმოების გაცნობას. როდესაც მოწოდებული იურისტები დარწმუნდებიან, რომ საადვოკატო ქალებს საკმაოთ შეუსწავლიათ იურიდიკული ნაწილი საქმის საწარმოებელათ, მაშინ ისინი იშუამდგომლებენ, რომ ქალებს მიეცეს ნება საქმეების დაცვისა. ჯერ მარტო თექვსმეტი ქალია იმ საზოგადოებაში.

* * *

„მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებს: სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს თურმე, რომ მომავალი წლიდამ რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში ისეთი სამასწავლებლო სემინარიები გამართოს, სადაც ახალგაზდა ქალები უნდა მოამზადონ სახალხო შკოლების მასწავლებლებად.

* * *

როსტოვში—დონზე ზოგიერთ ვაჭრებს კამპანია შეუდგენიათ და ქაღალდის ფაბრიკის გამართვას აპირებენ. კამპანიის დამაარსებლებად არიან როსტოვის ვაჭრები: ი. დოდეროვიჩი, ზ. პოპანაკოვი და ი. და ა. ალაჯანოვები. თავნი კამპანიისა ნახევარი მილიონია (500,000 მან). მმართებლობისაგან ამ კამპანიის წესდება დამტკიცებულია.

# უცხო ქვეყნები

## გერმანია

გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ამ უკანასკნელ დროს ერთი გერმანიის გამოჩენილი კაცის, გრაფ არნიმის დატუსაღებაზე, რომელიც 1871 წელს საფრანგეთში გერმანიის ელჩათ იყო. ჯერ იწერებოდნენ, რომ თ. ბისმარკსა და გრ. არნიმს შუა რაღაც უთანხმოება არისო. ამ უთანხმოების გამოისობით შარშან არნიმი იძულებული იყო, რომ ელჩობისათვის თავი დაუნებებია; მერე დაიწყეს ლაპარაკი, რომ გრ. არნიმი რაღაც ბისმარკის წინაამდეგ წიგნის დაბეჭდვას და პოლიტიკური დოკუმენტების გამოცხადებას აპირებსო. ბოლოს, წასულ კვირაში მოსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ სექტემბრის 23-ს ბერლინის პოლიციის ჩინოვნიკები მისულან გრაფ არნიმთან, იმის სახლი გაუჩხრეკიათ, რაღაც ქაღალდები უძებნიათ, და თვითონ ის დაუტუსაღებიათ. ბერლინის დეპეშა გვატყობინებს, რომ ამ სახელმწიფო კაცის დატუსაღების მიზეზი ის არისო, რომ რაღაც დიპლომატიური მიწერ-მოწერა ქონდაო და ბისმარკისაგან მიწერილი ქაღალდებიო და მთავრობის მოთხოვნით ეს ქაღალდები არ დაუბრუნაო.

ჯაცმა არ იცის ჯერ—როგორ გათავდება ეს საქმე, მაგრამ ეს კი ყველამ იცის, რომ არნიმი ერთ მოთავეთაგანია იმ პარტიისა, რომელიც ბისმარკის პოლიტიკას ეწინააღმდეგება, და ბისმარკს თავის მოწინააღმდეგებთან ბევრი ბოდიში და მაინცა-და-მაინც ნაზათ მოპყრობა არ უყვარს.

## საფრანგეთი

ოქტომბრის პირველს იმ მუდმივი კომმისიის სხდომა იყო ვერსალში, რომელიც ნაციონალურმა კრებამ, ვაკაციების დროს, საქმეების გამგებელად დანიშნა. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, მარცხენა მხრის დეპუტატებს უკითხავს მართებლობისთვის—თუ რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მართელობა ასე სდევნის ნიცის გაზეთებსაო. ნუთუ მართალიაო ის ამბავი, ვითომ ნიცის გაზეთებში და ხალხში სურვილი ჩნდეს საფრანგეთისაგან განთავისუფლებისაო. მინისტრმა უპასუხა ამ კითხვაზე, რომ ამ საქმის თაობაზე გამოძიება არის დანიშნულიო, და იქაურ გაზეთებს კი სრულიად იმისთვის არ ვსდევნით, რომ იმათ საფრანგეთისაგან განთავისუფლების სურვილი გამოეცხადებიოსთ.

ამას გარდა ამავე მარცხენა მხრის (რესპუბლიკის პარტიის) წევრებს მოუთხოვიათ მართებლობისაგან ანგარიში იმ გარემოების თაობაზე, რომ მარსელში, პერიგოში და მეზში პოლიციას 4 სექტემბერს რამდენიმე კაცი დაუტუსაღებია. მაგრამ ამ დროს კომმისიის თავმჯდომარეს ბიუჭეს სხდომა დაუხურავს...

## ინგლისი

წელს ლონდონში ალმოსავლეთური ლიტერატურის მცოდნე კაცების კრება იყო; ეხლა როგორც იწერებიან, მალე იქნება სოციალური მეცნიერების წარმომდგენლების კრება.

ეს კრება გაიხსნება გლაზგოვში და გაგრძელდება ერთ კვირას. სხვათა შორის, ამ კრებაზე შემდეგ საგნებზე იქნება მოლაპარაკება: 1) კანონმდებლობით რეფორმებზე, 2) სახალხო განათლებაზე, 3) სამეცნიერო საგნებზე, რომელნიც კაცის ჯანმთელობას შეეხება და 4) ხალხთა შორის ვაჭრობაზე.

## ინგლისელი კავკასიაში

ინგლისურს გაზეთს „ტაიმსში“ დაწერილებით აწერილია კავკასიაში მოგზაურობა ერთი ინგლისელის ა. მურისა, რომელიც წელს ზაფხულს იყო ჩვენში. ინგლისელი სწერს არა თუ მარტო თავის მოგზაურობას კავკასიის მთებში და იალბუზზე ასვლის ამბავს, არამედ იმ ხალხებსაც შეეხება, რომელიც იმას მოგზაურობის დროს უნახავს. მაგალითად, ლებელებზე (ზემო რაჭველებზე) ამბობს, რომ „ისინი ველური, მოუხერხებელი და გაუმაძღარი ხალხიაო. მაგრამ ამასთან ღირსებაც აქვთო: კეთილი გული აქვთ და სტუმრის პატივის ცემა იციანო.“ ზოგიერთ თურგის ნაპირა მდგომ სოფლელებზე ამბობს, რომ ისინი „ძალიან პატიოსანი ხალხია, ვერცხლი არ უყვართ და ხშირად მუქთად მემსახურებოდნენო; უცხო ქვეყნელებს ძალიან კარგათ ეპყრობიან, არაოდეს არავითარ უპატივრობას არ მიაყენებენო.

თვითონ მგზავრობაზე და კავკასიაზე აი რას ამბობს ეს ინგლისელი:

„იმედი მაქვს ჩემი, ნაამბობი ბევრს კავკასიაში მოგზაურობის სურვილს მოგვრის. კავკასიაში ისეთ ამაღლებულ ქედებსა და ისეთ მშვენიერ სანახავ ალაგებს „ნახავთ“ ყოველ ნაბიჯზე, რომ იმის მსგავს შვეიცარიაში კაცის თვალი ვერაფერს ვერ ნახავს. კავკასიის მთის ალაგებში რომ იმდენი სასტუმროები და თავშესაფარებელი სახლები იყოს, რამდენიც, მაგალითად, შვეიცარიაში, აქ მოგზაურობა ძალიან გაადვილებული იქნებოდა და სიამოვნებით ამას არა ემჯობინება რა. მეცნიერების მხრით კავკასია ჯერ თითქმის სრულიად ხელ-უხლებელია და ამ მხრითაც ეს მშვენიერი ქვეყანა, რასაკვირველია, განუზომელ სარგებლობას მოუტანდა მეცნიერების წარმატებასა.

„ჯერ ეხლაც კავკასიის მთებში მოგზაურობა შვეიცარიის ალპებზე მოგზაურობაზე თითქმის უფრო იაფად ჯდება; და ალპების მთებში, რასაკვირველია, ისეთ გზის მაჩვენებელს და მოსიარულეებს ვერ იშოვით, როგორც აქ. უბედურება ის არის, რომ მთარგმნელის შოვნაა ძნელი; ჩვენ მოვნახეთ ერთი მეგრელი ბაკუა პიპია, რომელმანც, მზარეულობის გარდა, ფრანცუზული ენაც ჩინებულად იცოდა. ეს მეგრელი რომ არა, ჩვენი საქმე ცუდათ იქნებოდა.

## რამდენიმე სიტყვა ნიკოლოზ ბერძენოვზე

როგორათაც მთელი კავკასია, აგრეთვე განსაკუთრებით ჩვენი საქართველო მეცნიერების მხრით დიდად შესანიშნავი მხარეა. რა დროებაც კი მსოფლიო ისტორიას ახსოვს, ამ დროს განმავლობაში და აგრეთვე ადრეც, როდესაც ყველა ახალი განათლებული ქვეყნები დაბალ ხარისხზე მდგარან, ჩვენი მხარე მოძრაობაში ყოფილა, ისტორიულის ცხოვრებით უცხოვრი; ყველა ძველად განათლებულ ხალხებთან დამოკიდებულობა და კავშირი ჰქონია. ცხადია, რომ ამ მხარის ახლანდელ ცხოვრებაში მრავალი რამ არის ძველის დროიდამ დაცული, რომელიც ღირსია, რომ ცნობაში მოყვანილ იქმნას, იმისი ისტორია, ზნეობა, ჩვეულობაები, ეკონომიური ცხოვრება. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი მხარის ცნობაში მოყვანა, იმისი ძველისა და ახალი ცხოვრების გარკვევა და შემუშავება, არის მოვალეობა კავკასიის მხარის ნასწავლი შვილებისა. საუბედუროდ, ჩვენ გულ-გრილად უყურებთ ამ საგანს. ჩვენ ამას არ ვიტყვით, რომ ჩვენ ნასწავლ ყმაწვილებში არ იყვნენ იმისთანანი, რომელთაც კარგათ იციან ჩვენ მხარის ცხოვრება, ძველიც და ახალიც; ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ამის გამოკვლევას უნდა შრომა, მაგრამ ჩვენ საზოგადოთ შრომა, რასაც უნდა შეეხებოდეს ისა, გვძულს: ლაპარაკი, ბაასი, იმედის მიცემა ბევრი ვიცით, მაგრამ როდესაც საქმეს უნდა შეუდგეთ, მაშინ ჩვენ უკუუდგებით ხოლმე ყოველთვის. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენში ისეთი კაცი, როგორც განსვენებული ნიკოლოზ ბერძენოვი, რომელიც გარდაიცვალა 4 წასრულ სექტემბერს, თითქმის არავინ გვყავს.

ნიკოლოზ ბერძენოვზე „Тифлисскій Вѣстникъ“-ის 97 №-ში არის სტატია უ. ბაქრაძისა. ამ სტატიაში ავტორს მოჰყავს მოკლე ცნობა ბერძენოვის ცხოვრებაზე, იმის ხასიათზედ და ვრცლად განმარტავს იმის სალიტერატურო მნიშვნელობას. ბერძენოვი იყო ქართველი ღვდლის შვილი, იმას სწავლა მიუღია პირველად ჩრდილო—ოსეთში, სადაც უსწავლია ოსური ენა და კურსი შეუსრულებია თფილისის სემინარიაში. უმაღლესს სასწავლებელში ის არ ყოფილა. მაგრამ რადგანაც ის ყოფილა ბუნებით ნიჭიერი და შრომის მოყვარე, იმას ზედ-მიწევნით უსწავლია რუსული სალიტერატურო ენა, ასე, რომ, როგორც უ. ბაქრაძე ამტკიცებს, იმას რუსულს მწერლობაში ქართველებში არავინ თურმე შეედრებოდა. 18—19-ს წლისა ყოფილა, როდესაც ბერძენოვს მიუყვია ხელი წერისათვის. თუმცა ბაქრაძის სტატიიდამ არა სჩანს, მაგრამ ჩვენ ჩვენის მხრით უნდა ვთქვათ, რომ ხან და ხან ბერძენოვი ქართულადაც სწერდა; იმისი ქართული სტატიები იბეჭდებოდა „ცისკარში“. ბერძენოვის მწერლობა შეიცავდა:

საქართველოს ჩვეულებაების აღწერას, ქართული ჟურნალების განხილვას, ისევ ჩვენ მხარეზე. მომეტებული ნაწილი ბერძენოვის სტატიებისა იბეჭდებოდა, ოცი წლის განმავლობაში, 1850 წლიდამ გაზეთში „Кавказъ“, რომელშიაც ერთ დროს რედაქტორის მოვალეობის აღმასრულებელიც იყო და რომელშიაც იმან მოსპო თავისი მონაწილეობა მხოლოდ უკანასკნელ დროს, როდესაც ნახა, რომ „Кавказъ“ უკუ-უდგა თავისს უმთავრესს პროგრამმას.

ეს პროგრამმა იმაში მდგომარეობდა, რომ მომატებული იმისი ყურადღება უნდა ყოფილიყო მიქცეული თვით კავკასიის გამოკვლევაზე: იმის ისტორიაზე, ზნეობაზე, ჩვეულებაებზე და სხვ.

ჩვენ აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას ბერძენოვის სტატიების ღირსებაზე; ვისაც სურს ამ მხრით გაიცნოს ბერძენოვი, იმას შეუძლია თვით ბაქრაძის სტატია წაიკითხოს. ჩვენის მხრით მხოლოთ იმას ვისურვებთ, რომ ზოგიერთ „დროების“ თანა-მშრომელთა განსვენებულის მაგალითს მიჰბაძონ საქართველოს ისტორიისა, ძველისა და ახალი ცხოვრების გამოკვლევაზე. მეტადრე იმათ მივმართავთ ჩვენს თხოვნას, ვინც უფრო კარგად იცის საქართველო ამ მხრით.

X.

# ნარევი

ჩინეთის სატახტო ქალაქს პეკინში ამ ჟამად ერთი ძვირფასი წიგნი ისყიდება, სახელად „კრება ძველი და ახალი ლიტერატურისა.“ ეს წიგნი 6109 ტომისაგან შესდგება და ყველა მეცნიერებას შეიკავს. სამოცი წლის განმავალობაში უბეჭდავთ (1662—1722) და ეხლანდელი მისი პატრონი 30,000 მანეთად ჰყიდის.

* * *

სექტემბრის 20-ს ერთს ბოგემიის ქალაქში, პრჟიბისლავში უკურთხებიათ იან ჟიჟკას ძეგლი. იან ჟიჟკა იყო ბოგემიის გამოჩენილი სახალხო გმირი, მეხუთმეტე საუკუნეში, რომელიც ხალხის თავისუფლებისა და სარწმუნოებისათვის ებრძოდა მტერს. თანამემამულეებმა გაიხსენს იმის გმირობა და მამულისათვის თავგანწირულება და თავის ხარჯით აღუგეს მას ძეგლი. გაზეთებში სწერენ, რომ იმის ძეგლის კურთხევის დროს დიდი ამბავი ყოფილა, თითქმის ყველა ქალაქებიდამ და სოფლებიდამ მისულან დეპუტატები და ნაციონალური დღესასწაულობა გაუმართავთ...

* * *

ამას წინათ ქ. ურალსკში ერთი ექიმი მომკვდარა უეცრად და პოლიციას ეჭვი აუღია; იმის მინდობილობით ერთ ექიმს გაუჭრია მიცვალებული და აღმოჩენილა, რომ თაგვის-შაქარით ყოფილა მოწამლული. ამ წამსვე, რასაკვირველია, გამოძიება დაუნიშნავთ. სხვათა შორის, მიცვალებულის ახალგაზდა ცოლისთვისაც უნდა ჩამოერთვათ ჩვენება; იმის სასამართლოში მოსაყვანათ ერთი გამომძიებელი წასულა; მაგრამ, რადგან არც ქალი და არც გამომძიებელი დიდხანს არ მოვიდნენ, მეორე კაცი გაგზავნეს თურმე ქალის სადგომზე სასამართლოდამ, რომელსაც ატირებული და აღელვებული ქალი დახვდა და შესჩივლა იმას, რომ გამომძიებელმა უპატიურობა მომაყენაო.

ამ ამბის თაობაზე, ქალის ჩივილით, საქმე შესდგა; გამომძიებელმა მოსამართლეს გამოუცხადა თურმე, რომ „სამჯერ ვაკოცე ამ ქალს, მეტი არა მიქნია რაო.“

* * *

ერთს სასამართლოში ამას წინათ ორი ადვოკატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებაასებულან; ერთს იმათგანს, რასაკვირველია, საქმე წაუგია და მეორეს კი მოუგია. მაგრამ ეს ბაასი სასამართლოდამ ქუჩაში გაუგრძელებიათ. ბოლოს საქმე იქამდი მისულა, რომ ერთმანეთისათვის წვერებში წაუვლიათ ხელი და კარგა ლაზათიანად გაუწ-გამოუწევიათ. ვისაც სასამართლოში გაუმარჯვნია, ქუჩაზე დამარცხებული შექნილა და ვინც სასამართლოში დამარცხდა, იმან მის მაგივრად ქუჩაში გაიმარჯვა. ამ ნაირად ორივემ თავი ინუგეშა...

*
* *

პოდოლის გუბერნიის ერთს სოფელში რემდენსამე გლეხს ამოუთხრიათ სასაფლაოდან ერთი ვილაც მიცვალებულის გვამი და ზედ წყალი წაუსხამთ. ამ ნაირის საშუალებით გლეხებს წვიმის მოყვანა უნდოდათ!....

*
* *

16 წლის ახალგაზდა ქალმა უჩივლა ამას წინათ, ოდესის მაზრის სასამართლოში, ერთს იქაურს გლეხს, რომ ცოლად შერთვა შემპირდაო, შემაცდინაო და ეხლა უერზე დგასო. მაგრამ საქმის წარმოების დროს, ორივე მხარეს მორიგების სურვილი გამოუცხადებიათ. სასამართლოს ამისთვის მაინც არ მიუხედავს და დამნაშავე კაცისთვის ზოგიერთი უფლების ჩამორთმევა და საპყრობილეში რვა თვით დამწყვდევა გარდაუწყეტია. ეს გარდაწყვეტილება მხოლოდ მაშინ შევა სისრულეში, თუ მომჩივან-მოპასუხე ვერ მორიგდებიან.

*
* *

ინგლისის ფოჩტების უფროსს, სხვა წლების დაგვარად, წელსაც წარუდგენია ანგარიში პარლამენტში, რომელშიაც, ამბობს რომ ერთი წლის გამოცდილებამ ცხადად დამიმტკიცაო, რომ ქალები ყველა იმ თანამდებობას, რომელიც კი ჰქონდათ ფოჩტაში და ტელეგრაფში, კაცებზე უკეთ თუ არა, უარესად არ ასრულებდნენო.

* *
*

პარიჟში ორი ისეთი დიდი მაღაზინია, რომ ერთი იმათთაგანი ყოველ წელიწადს 30 მილიონის საქონელს ჰყიდის და მეორე 35 მილიონისას.

---

# განცხადებანი

ჩუღურეთში და დიდუბეში **ისყიდება ზომიერ ფასად სამოსახლო ადგილები,** რომელიც ეკუთვნის სტატსკის სოვეტნიკის ცოლს ეკატერინა ნადიროვისას. შეუძლიანთ იყიდონ ვისაც რამდენი სურს, ფასის შეტყობა ნადიროვის მაღაზიაში, ერევნის მეიდანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ შეიძლება.

---

დაბა ზუგდიდში მიიღებიან რვიდამ თორმეტის წლის ყმაწვილები, რომელთაც ამზადებენ მისაღებელად პირველს სამს კლასში რეალურს და კლასსიკურს გიმნაზიებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიიქცენ მეულლა მიროვის ჰოსრუდნიკისა ე. კ. ქავთარაძისასთან.

---

**სტუდენტი** ფიზიკო-მატემატიკურ ფოკულტეტისა და ახალი მასწავლებელი თელავის სამაზრო სასწავლებლისა —გვარათ **ლოზინსკი**—იყვანს თავისთან ყმაწვილებს მოსამზადებლათ ოთხ მდაბალ კლასებში კლასსიკურ გიმნაზიისა, რეალურ და უმანის ხვნა-თესვის და ბაღების კეთების სასწავლებლისა.

გარდა ამისა შეუძლიან აძლიოს გაკვეთილი სადურგლო ხელობისა შეგირდებს, ვისაც კი სურს ამ ხელობის სწავლა. კიდევ ამზადებს ახალგაზდა ორთავე სქესის ყმაწვილებსა შინაურ მასწავლებლათ. იღებს თავისთან მათემატიკის და ნემეცური ენის შემსწავლებელ მოსურნე შეგირდებს თვეში თითოს ხუთ მანეთათ.

---

## თბილისის გუბერნიის
## აზნაურობას

**ზედამხედველი კომიტეტი თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა მიიწვევს თბილისის გუბერნიის ყველა თავად-აზნაურებს, ვისაც კი ბანკის დამფუძნებელთ რიცხვში შესვლა სურს** § 1, 1 შენიშ., 3 ჭ. თანახმად, **გამოაცხადონ თავისი სურვილი** ზედამხედველს კომიტეტში ქაღალდის შეტანით **ამ წლის თხუთმეტ ნოემბერზედ არა გვიან. განცხადებასთან უნდა წარმოადგინონ** ადგილობრივის უეზდის აზნაურობის წინამძღოლისა ანუ ჯეროვანის ქალაქის უფროსების **მოწმობა, თუ** საშუალო რიცხვით **რადენი შემოსავალია** უძრავის (სოფელში ან ქალაქში მდებარის) ქონებისაგან, რომელიც განცხადების შემტანს ეკუთვნის.

**ზედამხედველი კომიტეტი თფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა უცხადებს თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურებს, ვისაც** გლეხთა პირადის თავისუფლებისათვის სასყიდელი მიუღია და და არ შემოუტანია თავისი ხვედრი ფული ბანკის დასაფუძნებელი თავნის შესადგენად, **აგრეთვე იმათაც, ვისაც** ფული შემოუტანია, მაგრამ ამ ფულში კანონიერი კვიტანციები არ მიუღია, **რომ ფულების მიღება და კვიტანციების დარიგება უნდა მოხდეს ამ წლის ოკტომბრის პირველიდგან დაწყებული ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, შუადღიდგან ერთს საათამდის,** იქ სადაც დეპუტატთ კრება არის, თავადის ანდრონიკოვის სახლებში.

---

— ვაცნობებ საზოგადოებას, რომ მე ეხსნი ქუთაისში კანტორას, სადაც მიიღება დაწერა და შედგენა, როგორც შავად, აგრეთვე თეთრათ, ყოველ გვარის არძებისა, საჩივრებისა, პასუხებისა და სიგლების პროეკტებისა.

მიეიღე რა გამოცდილება დიდის ხნის ნამსახურობით ვითარცა ძველის, ეგრეთვე ახალის საქმეების წარმოებაში და წესებში, მე იმედი მაქვს სინიდისიანად დავაკმაყოფილო საქმეების მექონის ხალხის მოთხოვნილება და სურვილი,; მივცე მას დარიგება და დავაყენო ისეთ საიმედო გზაზედ, რომ ადვოკატი საჭირო აღარ დარჩეს მისთვის და მომეტებულს ხარჯს ასცილდეს. ფასს შრომისათვის მოვითხოვ ზომიერს.

კოლ. ას. სიმონ ივანეს ძე მესხი.

---

უფ—ნი ალიხანოვი, მიზანდარი და სავანელი ამ წლის პირველის ოკტომბრიდგან მიიწვევენ იმათ, ვისაც სიმღერისა და ფორტეპიანოზედ თამაშის სწავლა სურს, შაბას შკოლაში, კონსულის ქუჩაზედ, მირზოევის სახლებში, რომელიც წინეთ კრიჟანოვსკის იყო.

პირობები შეიძლება შეიტყონ დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის ორ საათამდის, ხსენებულს შკოლაში, სადაც მსურველები დროზე უნდა ჩაეწერონ.

---

**ბიბლიოგრაფიული ცნობა.**

იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ **„საყმაწვილო კონა“** ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, **შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.**

დაიბეჭდა და ისყიდება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და ახალციხეს ანნა მუსხელოვისას“ სახელმძღვანელო რუსული ენის სასწავლებელად ქართველ ახალ მოსწავლე ყმაწვილებისათვის (Руководство къ практическому изученію русскаго языка для грузинъ) შედგენილი ზ. კალანდარიშვილისაგან. ფასი სამი აბაზი.

---

ექვსის თვის ანგარიში

**ოძისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის აღებ-მიცემისა**

1874 წლის 21 მარტიდამ 21 სე-ს კტემბრამდის

დამტკიცებულ-შემოწმებული რჩევისაგან 23-ს სეკტემბერს 1874 წელსა.

ამხანაგობაში ირიცხება წევრად ორას ორმოცდა ოთხი კაცი.

ა.) შემოსავალი

1.) წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული . . . . . . . . 1470 მ. 40 კ.
2.) სესხი, რომელიც ამხანაგობამ აიღო დამფუძნებელთაგან . . 1500 მ.
3.) ამხანაგობამ ისესხა ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან. . 2110 მ.
4.) სასარგებლოდ შეტანილია კერძო პ. რისაგან . . . . . . . 40 მ.
5.) სარგებელი აღებული გასესხებულის ფულისაგან . . . . 216 მ.
6.) დაბრუნდა სესხი ახალ ვადა მიუცემელი . . . . . . . 100 მ.

სულ შემოსულა 5,481 მ. 40 კ.

ბ.) გასავალი

1.) გასესხებულა . . . . . 4,350 მ.
2.) შეტანილია თფლისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში... 150 მ.
3.) სარგებელი მიცემული ნასესხზედ ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში . . . . . 42 მ. 46 კ.
4.) დახარჯულა გამგეობაზედ. . 285 მ. 50 კ.
5.) სარგებელი დაბრუნდა ვადაზედ წინათ გარდახდილის ნასესხისა . 1 მ.

სულ გასულა 4,828 მ. 96 კ.

გ.) კასსა.

1.) შეტანილია ტფილისის სავაჭრო ბანკში . . . . . . . . 100 მ.
2.) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ გამოგვირიცხა წესდების თანახმად. . . . . 5 მ. 30 კ.
3.) ნაღდი ფული არის კასსაში .. 547 მ. 14 კ.

სულ 652 მ. 44 კ.
გასავალი არის 4,828 მ. 96 კ.
ერთიანი ჯამი 5,481 მ. 40 კ.

გამგეები: მიხეილ ქადაგოვი.
გრიგოლ ოსეფოვი.

---

**განცხადება.**

**ისყიდება 10,000 ლამპა,**

რომელნიც ახლად მოტანილი არიან საზღვარს გარეთიდგან. ეს ლამპები ბევრად უკეთესია უწინდელებზედ, უკეთესი მოწყობილობის არიან, ასე რომ ცეცხლი არ გაუჩნდებათ. ისყიდება აგრეთვე კანდელები და ყოველივე ლამპებისათვის საჭირო ნივთები სხვა და სხვა სახისა და ფერისა.

**ლამპების საწყობი** მაქვს შაბუროვის სახლებში, სასახლის წინ და **მაღაზინი**—კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ქალაქს გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ პირდაპირ მაგაზინში გამოგზავნოთ მოთხოვნილება.

იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება უწინდებურად ყურადღებას მიაქცევს ამ ჩემს განცხადებას.

**ცატუროვი.**

| რკ.გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — კვირა საღამ. 6 საათ.
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — ორშაბათს, ღამით.
ოდესას — სამშაბათს, გათენებისას.
გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ — სამშ. ხუთშ. დილ.
ასტრაბადისკენ — კვირა შუაღამეს.

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | - | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . | 5 | 76 |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . | 4 | — |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქუთაისიდამ:
ყოველგან — ორშაბ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდი.)
გ) გორიდამ.
ყოველგან — ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)
დ) ფოთიდამ:
ყოველგან — ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 1 ოქტომბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33^5/_8$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $353^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 176 | 75 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 173 | — |
| ბიროს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 83 | 37 |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 250 | — |
| ფოთი-თფილ.რკინ. გზის | 132 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. უზრუნვ. მყოფი საზ. | 693 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 263 | — |
| მოსკოვის უზრ. მყოფი საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 9 ოქტომ. | | |
| პური ბანჯისა . . | 1 | 10 |
| ქერი. . . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა . . | 8 | 40 |
| — ამერიკისა . . | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა . | 8 | — |
| მატყლი თუშური . | 6 | 50 |
| — თარაქამისა . . | 4 | 20 |
| აბრეშუმი . . . | 7 | — |
| ქონი . . . . | 4 | — |
| ქონის სანთელი . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა . | — | 45 |
| — ცხვრისა . . | — | 55 |
| სპირტი . . . . | 7 | — |
| შაქარი კარგი . . | 8 | 50 |
| — ფხვნილი . . | 7 | 25 |
| ყავა გრგვალი . | 18 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა . | 7 | — |
| ოქრო . . . | 5 | 90 |

**„დროების“ ფოჩტა**

**დ. შ—ში, დ. ლ—ს.** დაწუნებულ სტატიებს რედაქცია არ ინახავს, ვერ იკისრავს ვერც ამ სტატიების უკან დაბრუნებას.

**დ. ს—ში, უფ. ნ. კ—ს.** სენაკის ტალახი იმათ არა ღირს, რომ ამდენი მჭევრ-მეტყველება დახარჯოს კაცმა. წერა შეგიძლიანთ, მხოლოთ რიგიანი საგანი აირჩიეთ. სტატიის უკან დაბრუნების თაობაზე, ჩვენი პასუხი ზევით არის.

**ქ—ში, უფ. ი. ნ—ს.** დიდი ხანია, რაც „დროებაში“ ლექსების ბეჭდვისაგან ხელი ავიღეთ. ამისთვის ნურას უკაცრავად...

**სოფ. ს—ას, უფ. ა—ზს.** თქვენი „პასუხი“ ერთობ წვრიმალ მხარეებს შეეხება საქმისას და ამიტომ ამისთანა გაჭრელებულ პოლიტიკას „დროებაში“ ადგილი ვერ მიეცემა.

**სოფ. კ—ს, მ. ა. ა—ს.** საზოგადოთ პოლემიკა და გამოლაშკრება ჩვენ ძალიან გვიყვარს; უბედურება ესაა, რომ ჩვენ უფრო ხშირად პიროვნებისათვის ვიბრძვით და არა საგნისათვის ფაქტებია საჭირო და არა ცარიელი სიტყვები

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Октября 1874 г. Типографія Меликова и Ко. გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.